ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-19 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 54 მუხლის ,,ე.გ.'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული პროგრამა მოიცავს თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში 2023-2027 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მონაცემებს.

პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების მაჟორიტარმა დეპუტატებმა და მერის წარმომადგენლებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის განკარგულების პროექტს.

პატივისცემით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 – 2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-19 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ.'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ,,ა''ქვეპუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4-ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: **გია გიორგაძე**

დასკვნა

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-19 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტთან, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.გ. ქვეპუნქტთან, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.

განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველია ასევე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტი.

იურიდიული განყოფილების სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში: ნინო ვაჩეიშვილი